კვირა, 2 აგვისტო. ფასი 10 კაპ.

მათრახი
და სალამური

№ 8

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



მღვდელი: თუ „დრამა“ ვერ ავილე, ასე მაინც ვისეირნებ. შეარცხვინოს ღმერთმა ცხენები.

ძანძარიანი.

(კონცერტი დიგლი დალალეს ხმაზე)

მოძახილი.

ენის წვერი გაილესე
გაიმარმალეო,
ახალი თუ რამე იცი
მითხარი მალეო...
დიკლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
ორი კვირა გელოდები
და დავილალეო.

ბანი.

ამბავს გეტყვი რამდენიც გსურს
ოღონდ დათვალეო,
მაგრამ საიდან დავიწყო
შენ გენაცვალეო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
ყურნი სმენათ ალაპყარი
და დამაცალეო.
შენ ხომ გახსოვს, ჩემო კარგო,
ერთი „მოქალეო“
„მიმინობას“ ეწეოდა
ყვავის ბახალეო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
სად მიმინო, სად მჩხავანა
ყვავი ყვანჩალეო.
ეგ ის ყვავ-მიმინო გახლავს
ის საჩანჩალეო,

გავიხედოთ: ძველი ძრახვა
ხოტბათ იცვალაო
(აქ გამოჩნდა „მათი ნიკის
დიადი ძალაო“.)

დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალაო
გამოსცვალა მაგრამ კუდი
ვეღარ დამალაო.

მოძახილი.

დღეს თუ აგი ჩაიდინა,
რას იზამს ხვალეო
ეგ რა დროებას შევესწარ
შენ გენაცვალეო.

დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
ღმერთო ამას რას შემასწარ
რათ გამაწვალეო.

ბანი.

ოჰ ცხოვრებავ, რასშიგანხარ,
როგორ იცვალეო
დრო დაგვიდგა სატირალი
და სავალალეო.

დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო
რეაქციის უნდა იყოს
ეგ შავი კვალიო.

ახლა უნდა მოვიკრიბოთ
ღონე და ძალიო.
რომ მოისპოს მწერლობაში
ყვავთა ყვანჩალიო.

დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო
(ერთი და ორი კი არ გვყავს
გვიზის მრავალო.)

ამ ბოლო დროს, როგორც ვხედავ
განრისხდა ზეცაო,
პრესა წინეთაც კოპლობდა
დღეს სულ დაეცაო.

დივლი დალალი, დალალი
ფრთა შეეკვეცაო
ნაძირალებს მწერლობაში
ძალა მოეცაო.

პირად შუღლს და კინკლაობას
არ უჩანს ბოლოო
ხეჩატურ-ამირეჯიბი
გაისმის მხოლოო.

დივლი დალალი, დალალი
არ უჩანს ბოლოო,
ერთმა ენა დაიგრძელა
მეორემ ფოლოო.

ოდეს ყვავნი „მიმინობენ“
არ არის კარგიო,
და ეს სირიც „გუშაგისთვის“
მეტია ბარგიო.

დივლი დალალი, დალალი
მეტია ბარგიო,
ფუჭ იმისი დახმარება
მისი ამაგიო.

მოძახილი.

მაშ ისევ ჩვენ ეშმაკებმა,
ვადევნოთ თვალიო,
რომ პრესაში აღარ გვყავდეს
მწერალ-დალალიო.

დივლი დალალი, დალალი
ვადევნოთ თვალიო
და ვამხილოთ, ნუ შეგვაკრთობს
მათი ყვანჩალიო.

ბანი.

მეც მაგას არ მოგახსენებ
შენ გენაცვალეო,
მისთვის გთხოვე. დავამღეროთ
ეგ ლექსი ხვალეო“.

დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო
მხილება და ამგვარები
ჩვენია ვალიო.

დღეს კი მისთვის მივუმღერე
ჩვენ ყვავ-„მიმინოსო“,
რომ გაფრთხილდეს სხვა, ეგ საქმე
რა მოისმინოსო.

დივლი დალალი, დალალი,
დივლი დივლიმეო,
საწყენათ კი არა ვმღერი
შენი პირიმეო.

ეშმაკი.



„ეკალში“ რო ცოდვილობდა
და დაეუშალეო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
გავაფრთხილე, მაგრამ ჭკუა
ვერ დავასწავლეო.

მოძახილი.

მითხარ, მითხარ გენაცვალე
ნუ გამაწვალეო;
ეგოდენი რა ქნა ყვავმა
სახათაბალეო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
ნუ თუ სადმე გამოქექა
რამე სიმყრალეო?

ბანი.

ვინ სცნას მისი ასავალი
ან დასავალიო;
დღეს „გუშაგში“ ბუდობს თურმე
ეგ ყია მყრალიო
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო
მაგრამ ყვავმა ვით შეიგნოს
მწერლობის ვალიო.

სარგებლის და კვალათ უპრის
მას სამართალიო,
დღეს გაქებს და ხვალ გაგლანძღავს
ეგ შესაბრალიო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო
ოქროს კერპსა მსახურებდა
სირი საწყალიო.

მოძახილი.

დარდისაგან დაბნედილი
ლამის ვსტირი მეო,
კარგათ მითხარ, რა მომხდარა
შენი ჭირიმეო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალეო
ამიხსენი რო გავიგო
შენ გენაცვალეო.

ბანი.

მუდამ სიმყრალისკენ ქონდა
ამ ბედკრულს თვალიო,
და ახლაც ნაგავში ნახეს
ლირს შესაბრალიო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო,
სად სმენილა: ყვავს შესწევდეს
მიმინოს ძალიო.

მიმინო მტაცებელია,
როგორც ალალიო
ყვავსა ბოლო სკინტლიანსა
მყრალი აქვს კვალიო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალიო,
ვარდსა ანწლზე გაანაცვლებს
გადასავალიო.

„მიმინომაც“ „ბანკის საქმე“
რა განიხილაო,
ქრისტოფორეს კომპანია
ძალზე გაჭკილაო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალილაო,
მაგრამ „გუშაგს“ ეგ წერილი
არ მოვლენილაო.

მეორე დღეს საამური
გათენდა დილაო,
და ამბავი „ლისტოკისკენ“
გადაფრენილაო.
დივლი დალალი, დალალი,
დივლი დალალიაო,
არვინ იცის სასწაული,
როგორც შექმნილაო.

მსწრაფლ მონახეს თურმე ჩვენი
ყვავის ბახალაო,
და დასცადეს საბრალოზე
ქანქარის ძალაო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი დალალაო,
ხომ გსმენიათ: თივას ცეცხლი
არ დაიმალაო.

„კარგ მთარგმნელათ“ მიიწვიეს,
(იცის რუსულიო!)
გასამრჯელოთ წინდაწინვე
უშობეს ფულიო.
დივლი დალალი, დალალი,
დივლი დალალიო,
ჯოჯოხეთსაც განანათებს
ქანქარის ძალიო.

ყვავ „მიმინომ“ გასამრჯელოს
ხელი დასტაცაო,
ათი ქანქრის ნახევარი
„გუშაგს“ გადასცაო.
დივლი დალალი, დალალი
დივლი ბაცაცაო,
შეჰხაროდა „ფაქიზ“ მწერალს
მიწაც და ცაცაო.

დეპეშები.

(ეშმაკეთის დეპეშათა სააგენტო)

30 იგლისი.

ქუთაისი—ქალაქის გამგეობამ საზღვარ გარეთიდან გამოიწერა ოცდა ათი, ქუჩების სატკეპნი მანქანა, რადგან უკანასკნელ ხანებში „ქუჩის მტკეპნელთა“ რიცხვმა ძალიან იკლო და ბულვარში მიწა აიჩენჩა. ბულვარში სიცოცხლე შესწყდა. მხოლოდ აქა იქ შავი ლაქებივით მოსჩანან სკამებზე დაკერებული „ჩინოვნიკები.“

სამტრედია—სამი თვეა წარმოდგენის გამართვას შეუდგენ, ყველაფერი დაამზადეს, მაგრამ ჯერაც ვერაფერი გააწყვეს. არტისტები თავებს იხოცვენ, მარა მაინც ვერ ელირსენ ნება დართულ პიესის ნებართვას.

ბაკურიანი—საჭიროა 4700 კბილი „დაჩნიკებისთვის,“ რადგან მეტი ჭამისაგან საკუთარი კბილები დაუჩლუნგდათ. კბილების შეძენის საქმე იჯარით გაიცემა კარგ ფასებში.

ნატანები—ფაიტონების ყურყუტში, ოც კაცს გული შეუწუხთა და ძლივს მოაბრუნეს.

ოზურგეთი—ქუჩის ძაღლებს შუა ბაზარში ღორებთან სასტიკი შეტაკება მოუვიდათ ბაზრის საკუთრების უფლების გამო. გამარჯვება ღორებს დარჩათ.

ბათუმი—ხუთშაბათს 30 ივლისს ბაღის ყურეში დაფიქრებული გოროდოვოი ქვაზე ჩამომჯარიყო. მოელიან მასიერ ჩხრეკას. ხალხი შეშინებულია, უმეტესათ ახალგაზდობა.

ბახმარო—27 ივლისს ტყეში სასეირნოთ გაგიდა 30 სტუდენტი, სტუდენტ თმაჩეჩილაძის მეთაურობით და გიტარა-სიმღერით. გიტარის ხმაზე სოროდან გამოხტა ტურა, სტუდენტები დაფრთხენ და აქეთ იქით გაიქცენ. ათი მათგანი გულის ტკივილით ავათ გახდა.

ხიდისთავი—პარასკევს, 31 ივლისს სერბინეს ბაღში მოხთა „მასონთა საზოგადოება“ „დაძმობის“ კრება. თავმჯდომარეობდა 30 ბოთლი ლუდი.

პეტერბურგი—ამ დღეებში მოელიან ინგლისელ დეპუტატებს. ვალოდია პურიშკევიჩს კრუპის ქარხნისთვინ ვებერთელა „სვისტოკი“ შეუკვეთია სტუმრების დასაფრთხობათ.

პოდოლსკი—ვასილ ოქროპირისძე ურუშაძეს აქაურებმა სადილი გაუმართეს, რადგან თავის მოწაფე ქალებს ყველას ეარშიყებოდა და სიყვარულს უცხადებდა.

თეირანი—ყოფილი შაჰი სასახლეში შეიპარა და თავის შვილს სცემა, ტახტი რათ წამართვიო. ყოფილი შაჰი დაიჭიოეს და პასუხის გებაში მისცეს.

ნაწყვეტი

(პოემიდან „ცირა“)

შენთვის ვაჟღერებ ამ ჩემ ჩანგს,
ჩემო ტურფავ, ჩემო მერი,
და ზედ დაჭკვნესს ჩემი გულიც,
წმინდის გრძნობით ანაძგერი!
ვიცი წმინდათ შეგინახავს
ჯერ ბავშური სათნოება,
გულს არ გიმღვრევს ამა სოფლის
უაზრო და ბილწი ვნება.
უმანკო წყლით ბაღი გირწყავს,
შიგ გითესავს ვარდი ია,
გარს მაგარი ზღუდე გივის,
კარი არვის გაუღია;
შიგ ბულბული ბუდესა ქსოვს,
ჯერ გალობა არ უწყვია,
ყვავილებიც იკოკრება—
სითბო მოდის, შეუტყვიხ!
მალე დაჰფეთქს გაზაფხული.—
გადიშლება ვარდი ია,
და მოისმის ყვავილთ ფშვინვა
და ბულბულის „ტია-ტია“.

სხვა ბულბულიც სხვა ბაღიდან
პასუხს გასცემს შენსა მგოსანს,
ია-ვარდიც გარდეხვევა
იქვე მოსულს უცხო შროშანს,
ქარიშხალიც მოვარდება,
ზღუდის კარიც გაიღება
ბუნების და ცხოვრების გზას
საძირკველი ჩაეყრება...

. . . .

ვიცი, ბულბულს ხმა წაუვა,
ვეღარ შესძლებს ტკბილათ სტვენას,
ია ვარდიც ფერს დაკარგავს,—
—შროშანს სძღვნობდა კოცნა ხვევნას
—თუ ეს ნახა ჩემმა ჩანგმა,
დაასუსტებს სიმთა ჟღერას,
„გამოსათხოვს“ აუკვნესებს
თვის ყოფას და ბედის წერას;
გულს დაჰბურავს კაეშანი,
შეუჩერებს ტკბილათ ძგერას...
და რაღა არს მაშვინ კაცი,
როს ვერ შესძლებს წმინდა მღერას?!

ფ. რუშაველი

გურული სცენა.

(ეტლთა კანტორაში.)

— დიმიტრეს თავი მიცოცხლოს ღმერთმა, შე ხომ მიცანი ჩემო დიმიტრე

— კი ბატონო კი მეცნობი.

— გეცნობი და მეტი არა? მე იგი ვარ შენი ჭირი შემეყაროს ყაჩობაზე რომ თესლი გამოგართვი სიკეთე მოგცა ღმერთმა ქე იყო კაი თესლი ერთი არ ჩავარდნილა ყველაი ისე ამევიდა სვაისოთ კიდე ხომ აპირებ მოტანას? ახლა იცი რას გეხვეწები აგი ოჯახ რა შესახვეწებელია ისთევლე შენი სასარგებლოს მარა მაინც წინ წინ ჯობია საქმით გაკეთება როცხა ნამეტარი შეუძლოთ ვარ დოხტურმა იზდვავეთ მირჩია და თვარ დავუჯერე ბადნები მომკლავს შენ ჩემ ბადნებს ქე იცნობ ერთია ბათუმში სახაევის თავი ჰიკაჩიკია მეორეა და მისი ჭირი შემეყაროს ნატანებშაა დიდი თანამდებობა ქია მისი წლოვანების შესაფერათ, მან თვარ ღუჭუტუნა ჰოეზი ვერც ადმა წავა და ვერც დადმა · ხო და იგინმა მომწერა ნენა თდონ შენ იყავი კარგათ და ცოცხალს გედგას სული და მტრის ჯინზე მაყურებელი ნუ მეიგლავ თავს ბინას ნუ შეგვაძულებთ და ფარას რეთიც კი მიგინდება იმდენს გამოგიგზავნითო დოხტურსაც გააშინჯე თავი ფერშალსაც, ბახმაროზე იჭაერე და ზღვაზე იზდვავეთ ყორიფელი ქქნი მარა ბახმაროზე არ წევედი, რაღა დროის ჩემი ბახმაროა. იქინეი ახვუსტრუცებული ქალიშვილები მიდიან მოჭაერე კი არა ქმარის მაძებრებია ჩემო დედავ თვალო ხუნტრუცის მეტს რას აკეთებენ „მივალ ბახმაროს ვქებ საქმროსა“ თვარა შენ უკეთესათ არ იცი რაფერი დანისვლა იცი!... თავისჯ გაბახება არ მინდოდა და ამიზა ბახმაროზე არ წევედი და ზღვაზე რომ არ წევიდე და ბადნებს ხათრი დუუქცით რომ რამე გამიჭირდეს და მოკვტე (ჩემი მტერი და ავი!) მჯავრით დავუძლქდები ბადნებს კეკელი გული რეიზა მუყუნჩაკე მეოქი გადაწყვეტილია, იგია ამ ერ კვირეში წევიდე უნდა რავარ კარგ მგზავრს შევხოთები და იმას გეხვეწები იმიზა გაგიკითხე დროიანებ მოსუზე ქე ვიყავი შეხვეწილი მარა შენ კიდევ უკეთესი აქანაი რომ დამხოი „ჩასტნი“ ფაიტონში ვერ ჩავჯდები რომ გადამაბრუნონ ჰასუხი ვის მოვთხოვო ისევლე კამპანიის მირჩევნია და და შენ იცი და შენმა კაცობამ ორი დღით წინ რავარც მგზავრს შეეჰპირებ ქე შემოგაცუოვბინებ და ერთი უკანაი ადგილი ჩემდა ქონდეს შენახული ამასაც კი გეხვეწები შენი უქნელი რა არის წინ მაინდა მაინც უზდლებს ნუ დამიჯერებ სამაგიეროდ, ბატივის ცემა მე მგითხე გაისათ თუ მივაწიეთ შენთან კარგათ და კი დამირჩა შენი თავი თესლს კიდევ შენ გამოგართუმ შენს თესლს ისე მაგვჩვიე იმისაკან უფრო გვერდიარ უდგა სხვა გაჭრებს მე შენს მეტის სხვისი არ დევიჯერო —აბა, ა, შენ იცი ისე იმედი მაქ როგორც ძმაის თუ კი იკადრებ...

— კი ბატონო უკანა ადგილი თქვენთვის მექნება შენახული?

მშვიდობით შენი ჭირიმე —ქეც მქონდა შენი იმედი ქეც დამპირდი გაცოცხლოს ღმერთმა. (გადის შემოდის ისევ) —ფასი ხომ იგივეა დიმიტრე ხომ არ აგიწევიათ ხომ კიდევ ათი შაურია.

— არა ბატონო ახლა სამი აბაზია.

— რა უყოთ მერე შენთან იყოს და აბაზი მეტი იყოს (გადის და მობრუნდება).

— დიმიტრეს ჭირიმე ერთი ფუთი დომი, სამი ბათმანი ქერილი და ერთი შვიდი ჭუჭული მეყოლება, რაცხა ბაწვი ქვემაგებიც ხომ დამადებიებ.

— დადებით კი ბატონო მარა ერთ ფუთ ზევით რაც იქნება ფუთის წადება სამი შაური ედირება იცოდე.

— ოდონდ კი წამიღე და გადაზირებულს ნუ დამატოვებიებ და სამი შაური შენთან რა სასხვენებელია აბა ასე იმედი მქნება იცოდე იგი არ იფიქრო სხვას დუუჯდე... (გავა და თავისთვის).

იმ ცხენების რჯულსე აირე გვერდი არ აგიდა იმისაგან უფრო მე შენს ფაიტონში არ ჩავჯდე სამი აბაზით სამი სახარება გაგიწყრა ფუთი ჭვერთი სამი შაურით მოგმრთუმ რავა არა დაგიმამბავ აგერ წავევე მეზობელს ჩიგოგიძეს იგი არ მირჩევნია უკანაც დაჯენა დამპირდა და ათი შაურის მეტსაკ არ მთხოვს—ჭვირის თუ გინდა სამ ფუთს ტუვიდათ წაგიღებთ—არა ყორიფელს რაფერ მუუკიდეს ცეცხლი ა) მეჩვენებულდება—არ გიგვირს...

პიტნა.

„წ ი თ ე ლ ი მ ე ლ ა“.

IV.

თოვლით დაფერფლილ არე მიდამოს
თავს წამოადგა ახალი წელი,
დასავლეთისკენ გაუიკეცა
წყვდიადის ზოლი უკანასკნელი.
აქიქ, ზოგად, და კანტიკუნტათ
თოფებს ისვრიან ბედნიერები,
და მათ დარბაზებს დაამშვენებენ
„წმიდა ბასილის თეთრი წვერები“!
ტყის პირად მოსჩანს დათიკას ქოხი,

ასე მსჯელობდა იგი თავისთვის.
იქ კი... დათიკას ქოხში, ტყის პირად,
გლოვათ დაღამდა ახალი წელი,
გულის სიღრმიდან ამონატირათ!..

VI.

გადის ზამთარი. ჰა, საცა არის
გაზაფხულდება, დათბება ველათ,
ტყე ისევ გაშლის ზურმუხტის ყარავს
და მოირთვება მინდორი ჭრელათ;

—

ცა გადაიწმენდს, გაჭქრება გლოვა,
ფრთოსანთა გუნდი კვლავ ამღერდება,
გრძნობით იფეთქებს სიცოცხლის გული
და მაჯაც უფრო აუძგერდება.

—

უკანასკნელათ ქვითინებს ქარიც,
ეგ „სულთა თანა“ მიმავალ ზამთრის,
თითქოს სურს, ისევ იჩინოს ძალა,
სინამდვილის წინ ბებერ ქედს არ ხრის,
ხარბობს, რომ უცქერს კუბოს კარიდან
თვის ნამოქმედარ ცუდ მაგალითებს
და სიცოცხლისთვის მფეთქავ ბუნებას
გულს უღიტინებს დაჩხირულ თითებს...

—

...დათიკას სოფლად, მაღლობის წვერზე
მოსჩანს კოპწია თეთრი საყდარი
და სოფლის ამ უტყვ მემატიანეს
ესაუბრება ეგ ზამთრის ქარი.
მწარე აზრი აქვს იმათ საუბარს
ბეჩავ ცხოვრებას ხმარობენ თემად,
ბევრს ეტყვის ქარი, ბევრსაც—წაიღებს
სხვა მაღლობებზე გადასაცემათ.

—

იმათ მუსაიფს თითქოს ყურს უგდებს
ჩაფიქრებული ტყე, არემარე,
გალავან შიგნით საფლავნი ძველნი,
და ახალიცა ორი სამარე.

—

ეს ერთი—არის დათიკას ქალის,
ზედ შეუზვინავთ გორაკი მიწის,
ის კი, მეორე, ნაძვის ქვეშ რომ სჩანს,—
საფლავი მიხა უბედურიძის.

—

ის გზაში, ერთ-ერთ სატუსაღოში
შეიქნა ავათ, დიდხანს იწვალა,
ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ... იძლია,
უსწორო ომში გარდაიცვალა.

—

წამოასვენეს ამხანაგებმა
და აქ დაკრძალეს, ამ სამარეში,
გულში ჩაუკრეს შავდედამიწას
თავის სატრფოსთან საერთო წრეში.

—

არ დაივიწყეს იმისი ღვაწლიც
და გაარკვიეს მრავალ სიტყვაში,
რომლებიც თვისი სიწრფელ-სიმართლით
ქვითინს იწვევდა ხშირს ხალხის ზღვაში!..

—

ბნელმა გაჰფანტა იქიდან ხალხი,
ბევრმაც ნაღველი თან წაიტანა,
და არა ერთმა, სახლში მისულმა,
გრძნობით თვალები ჩამოიბანა...

—

დაცალიერდა კვლავ სასაფლაო,
ცას ბნელი რიდე გადაეხურა,
და ღამით ნაძვმაც, გულ ამოსკვნილმა,
ნორჩ საფლავს ცრემლი ჩამოაწურა...

ნ. ზომლეთელი.



ეეუთი ბურჯუაკეს.

(იმერეთის ცხოვრებიდან)

(სცენა პირველი მოქმედებისა))

გამოსვლა I

(ჩიტუდია და ეფემია).

ეფემ. ვახ, შენ შამოგევლოს დედაშენი, ოქრო რო ხარ იმიზა! მაინც და მაინც გენაცვალოს!.. ვის არ შეაყვარებს თავს, ამის ჭირიმე! (**კოტნას უპირებს ჩიტუდის, მარა ის არ ნებდება**).

ჩიტ. კაი დედა ნუ ბავშობ!

ეფემ. ვახ, შენი ტკბილი ენის ჭირიმე, ჩემო სასახელო შვილო! ყველაფერიც რო შვენის, მოფერებაც, გაწყრომაც!..

ჩიტ. ერთი შენაც დედა!.. დამანებე თავი, ბავში ხომ არა ვარ, რო ასე მეალერსები?..

ეფემ. ჩემთვის შვილო ბავშვიც კი ხარ და ხვითოც და ოქროც! რა მყავს შენზე საყვარელი და უკეთესი? შენ შამოგევლოს შენი დედიკო!.. (**ბუზა**) ჩემი ჩიტი, ჩემი ჩიტუნია! მდიდარი კაცის ცოლი ხდება, ნეფურათ იცხოვრებს, იტატაშებს.

თოვლს დაუბამბავს შავი ბულული,
სდგას ცალმხარეზე ოდნავ წახრილი
და მეორე მხრივ წამოწურული.
გათენდა, მაგრამ შიგ ჯერაც ბნელა:
უბირი ჭრაქი ოდნავ-და ბჟუტავს,
მის სუსტ ალს ქარი შებრძოლებია
უნდა გააქროს, თვალებს უხუჭავს.
შუა ადგილას გუზგუზებს კერა,
ჰბოლავს ცეცხლი და კვამლი ტრიალებს,
ცივა, კედლების ჭუჭრუტანებში
ქარი თამამად შემოსრიალებს...
„შვილო, მაიკო“!.. მოსთქვამს დათიკა,
და სარეცელზე მოსჩანს სნეული,
მის მიმქრალ სახეს ეალერსება
სინათლის შუქი, ძალ მილეული.
კვნესა-და ესმის პასუხად შვილის
უკანასკვნელი სულთა ბრძოლისა,
და მასთან ერთად, ჩუმი ქვითინი
მოხუცებული თვისი ცოლისა.
ჩაჭკონებია მომაკვდავს დედა
თითქოს არ უნდა, რომ მოიცილოს,
იგი მზათაა, რომ შვილის ხვედრი
თვითონ იტვირთოს, გაინაწილოს.
— „ვაი, შენს დედას, შავი დღის მომსწრეს“!.
ჩაიქვითინებს, და შეჩერდება,
და შვილის თვალებს, ჩინმილეულებს,
სასოწარკვეთით დააშტერდება...
მაგრამ... დუმილი, მძიმე დუმილი!..
ქოხში ხუთიოდ გარეშეც არის,
მშობლების წუხილს შერთვია მათი
ჩუმი ტალღებიც თვალთ სიმდუღარის...
აგერ შეინძრა უცბათ სნეული:
მან ერთი მწარეთ ამოიგმინა,
ითხოვს რაღაცას... წამოიწია...
„მიხა!.. მი...ხა“-ო და... მიიძინა...
გათავდა... „უი, შენს დედას, შვილო“!..
აქ აირია სუყველაფერი,
და გულის ამღვრევ ტყის გამოძახილს
შორს იტაცებდა ხრიოკი სერი...

V.

დღე მიიწურა. მდიდრულს ზალაში
ტკბილი გუგუნი გაისმის ბუხრის,
გუზგუზებს ცეცხლი და ფიანდაზათ
მოცეკვავ სხივებს იატაკზე ხრის.

—

შესწყტა ჭეიფი. უკანასკნელი
სტუმარიც ყათრანს გამოეთხოვა,
ჩამოწვა ბნელი. აანთეს ლამპა,
იმნაც შუქი კედლებს შესთოვა

—

და გააჩაღა მდიდრული ზალა,
სამყოფი ყათრან ჰახრაკაძისა,
აი, ბუხართან რომ ჩამომჯდარა,
მაღალი, მსხვილი, ქერა კაცისა!

—

ის სამმართველოს თავჯიმანია,
სიმდიდრე ფული მას არ აკლია,
არა ერთს მისთვის „საიმასქნელი“
ფარულად ხელში ჩაუკაკლია.

—

მას განმავლობაც დიდი აქვს ეხლა,
სამმართველოში თავს უხრის ყველა,
თუმცა ფარულად კიდეც უწოდეს
მას მეტ-სახელად: „წითელი მელა“!...

—

ზის სელის სკამზე და ცალი ფეხი
ბუხრის კიდისთვის დაუბჯენია,
დადუმებულა, ჩაფიქრებულა,
ეტყობა,—რაღაც გულნატკენია...

—

ჩუ! გლოვის მწარე ხმა შემოიჭრა,
შეკრთა ყათრანი, ვით მეხნაკრავი,
მაგრამ ფიქრებმა კვლავ გაიტაცეს
და ისევ მძიმეთ დაღუნა თავი.

—

„არა, იმ ციცამ... ახია მაზედ!
რათ მითხრა ვარი?... იმდენს ვაძლევდი!..
იმდენი ფულით და შეპირებით
თუნდ კნიაზის ქალს... ვის არ დავძლევდი!..

—

ვიღაცა კოტე უბედურიძე!..
კარგათ ვუკარი იმასაც თავი!
აბა, მე რომ ქარს არ გავატანდი,
ამას არ გრძნობდა ი „ვირისთავი“?!

—

ეხლაც მობრძანდეს და მემეტოქოს,
აბუნტოს ხალხი, იოციალოს,
არა, რაც იმას მე დღე წავკიდე.—
ნუ დაივიწყებს, მოდგეს და თვალოს!..

—

თუმცა ის გოგო კი გულს მაკლია!..
მგონი დათიკას სხვა არც კი ჰყავდა,
მერიდებოდა ძრახვისა, თორემ,
ცოლად რომ მეთქვა,—იმ წამს შემრთავდა.

—

„გლახაკის ქალი აიყვანა“-ო!
არ მომაკლიბდენ გესლიან ენას,
იმდენ სიამეს ის რას მომგვრიდა,
რასაც ქვეყანა მომცემდა წყენას!..

—

ქუთაისი და თფილისი სულ მისი იქნება! მეც მასთან ვიქნები... მამა მისიც... სოფელში მხოლოთ საზაფხულოთ მოვალთ, ჩამოვივლით. იკითხავენ: ვინაა, ვინ მობრძანდაო? სამარაძე და მისი სიძეო ეტყვიან და ყველა გაკვირვებით და შურით დაგვიწყებს ყურებას...

ჩიტ. ნეტავი ჰაერში კოშკებს არ აშენებდე დედა!..

ეფემ. მერმე რა თავ მომწონეთ გადავიხედ-გადმოვიხედავ მეზობლებში! ისე მოვიქცევი, როგორც მართლა შეშვენის ჩვენს გვარეულობას, მარა ეს მენაკლულება ციტათი, რომ სიძეც აზნაური არ მეყოლება... მარა არა უშავს, მაგივართ ფული აქ! ან და იქნება კიდეც შეიძლებოდეს აზნაურობის ყიდვა ფულით! შეიძლება შვილო? ხო შეიძლება გენაცვალე, ა..?



ოზურგეთიდან ხიდისთავამდე.

ჩიტ. დედა ჩემო, მოიქეცი ისე, როგორც შენს ხნოვანებას შეშვენის! რას ამბობ? მე შენი ნალაპარაკევის ვერაფერი გამიგია! სწორეთ გასაკვირველია! ვერ გამიგია რაშია საქმე? მე არ შემიძლია ყოველ საათში და წუთში ასეთების ყურის გდება!.. (**კადის**)

ეფემ. აი, შე კუდიანო, შენა! ჩემთან აქ თავს იკატუნებს და ბელტაძეს კი ყოველ დღე წერილებს წერს და სიყვარულში ეფიფება! შე ეშმაკო, შენა!.. (**სიყვარულით ემუქრება და თან მიუვლება**)

გამოსვლა II

(**მიხეიდი და ბაგდე**).

ბაგდ. ნამდვილი სიმართლეა თქვენი სიტყვები. ჩემო მიხეილ, ნამდვილი... (**მოუძღვება**) დაბრძანდით დაბრძანდით და ისე ვილაპარაკოთ! (**მიხეიდი ჯდებ, თან აქეთ, იქით იხედება, დაფანტულია, ბაგდეს ნახევრათაც არ უგდებს ეურს. ტანზე წითელი ჩოხა და ჭრელი ახალუხი აცვია.**)

მიხ. დიახ... დიახ...

ბაგდ. და სწორეთ მაგრე უნდა იქცევოდეს ყოველი კაცი, ვისაც ფულის შონის შნო აქ! თუ მუშას თავი მაგრათ არ აჩვენე და ბრიკაშიკები არ შეახურე, თავს აიშვებენ და მთელ თქვენს ქონებას ჩანთქავენ... გასულელებული არიენ ერთობის მერე! ჯერ კიდე ახსოვთ ის დროი და კარგათ არ შემძვრალან უწინდელ ტყავში! შავი დღე უნდა დააყენო, დაჩოქილი უნდა გეხვეწებოდენ ნუ შეგვიწყვეტ ლუკმა-პურსო... მაძანუწამიწყდება...

მიხ. დიახ... დიახ... და მეც ახლა იმისათვის გავუსწორე „გასტინცაში“ ბიჭებს ანგარიში... დიახ, ახლომამდი ისენი მეფიცებოდენ და ახლა მე გავეფიცები. (**იტანის**)

ბაგდ. ასე უნდა, სწორეთ ასე!.. კაცო, ქალაქებში კი არა, ჯერ აქ, სოფელშიც ვერ ჩახვთენ ჯერ კიდო ჭკუას ერთობის განასულელები გლეხები... კიდო ახლავთ რაცხა იმ ერთობისა, კიდო... ხანდიხანდე იმისთანა-იმასთანას ჩეიბურდღულებენ აზნაურებზე და ღვდლებს პირში რო ვერ გვიბედავენ, რომე თქვენგან მოწონებულს... მარა რას ვუზამ, ვუთმენთ... გულში იმუქრებიენ, მარა იმუ-

ქრონ... რაც უნდოდით იმას ვერ მოესწრებიან... მამა ჩემი არ წამიწყდეს...

მიხ. ასეა... (პაუზა) ორი გასტინიცა მაქ, კაცო, შით ორმოცამდე მოსამსახურები მყავს, იფიცვეს და იფიცვეს, ერთობის დროს, ჯამაგირები მომამატებიეს, ბინები გამაუმჯობესებიეს, ვინც არ უნდოდათ დამათხოვიეს და ჩემი შამოსავალიც იგენს მოუნდა... მარა იცოცხლეთ მე იგენს ახლა კეხი შოუბრუნე!.. თუ იმსახურებენ ისე, როგორც მინდა, ხო კარგი და თუ არა და... შეაყოლონ... უადგილო ხალხი კია ახლა ბლომათ სხვა თვარა... სულ ნახევარ ფასში დევიყენებ...

პავლ. მაგრე უნდა ჩემო მიხეილ, მაგრე! ფული მხოლოთ მასე მოიგება... მამა ნუ წამიწყდება...

მიხ. მერე ატეხეს გაზეთებში წერა: ბელტაძემაც ლოკაუტი გამოუცხადა მოსამსახურეებსო და...

პავლ. მერე იგენს უგდებ ყურს? საქმე არა გაქ? ისენი მოცლილებია, წერით იქცევენ თავს და თუ ჩვენ იგენს ავყევით, ცამდი აგვიყვანებენ! აკი მათ შეშლეს მთელი ქვეყანა და არიეს ყველაფერი! მარა გამოუვიდათ ბრინჯები, გაუხუნეს...

მიხ. არა, იმათ რა უკვირთ იცით? ერთ დროსო მიხეილ ბელტაძე ერთობას, ემხრობოდა და ახლა გადადგაო... ღმერთი რჯული არასოდეს არ ვყოფილვარ ერთობის მომხრე გულში, მარა როცა მთელი ქვეყანა აირია, პოლიცია მიიმალა და ძალლი პატრონს ვერ ცნობდა, აბა რა უნდა მექნა? რო ისე არ მექნა, ვილაც რაზმელი მბრეგდა და მორჩა... წარმეიდგინეთ ფულებიც კი ბევრი შევწიე, ორი ლივერი მაყიდვიეს, თოფი და რავიცი კიდო რა...

პავლ. ძალიან კარგად გიქნია თუ კაცი ვარ! აი აგრე უნდა! მეც აგრე ვიქცეოდი! აბა რა მექნა კაცო დათვი რო მოგერიოს მამა უთხარიო... იმ ფულების შეწევით, ღმერთს ვეფიცები, მამა ნუ წამიწყდება მეტ სარგებლობას ნახავდი... რაც უნდა გლახა გექნა, გეპატიებოდა...

გამოსვლა III

(იგინივე და ჩიტირეკია, შემდეგ პავლე გადის)

ჩიტირ. ბატონო ხაზეინო, ი ჩვენი უჩიტელია და გხმობილობს...

პავლ. უჩიტელია? რა მინდაო?

ჩიტ. არ ვიცი შენი ჭირიმე...

მიხ. (ირონიულათ) ფულებს მოიტანდა, ფულებს! რა გვარია? გაქექილაძე თუ გაფხეკილაძე..ხა...ხა... ხა... გვარიც რო შესაფერი აქვს!.. საწყალი უჩიტელი: თავი ნასტავლათ მოაქვს და შიმშილით კი კვდება!..

პავლ. აპა, აპა? უკაცრავათ, ეხლავე გეახლებით. (გადის)

მიხ. (უცებ მოვარდება) სხვა ბიჭო, ჩიტულიის ხო არაფერი დაუბარებია?

ჩიტირ. არა ბატონო, ახლა არაფელი! ალბათ თქვენგან ელის პასუხს. .

მიხ. წერილი მზათ მაქვს და გადაეცი (აძლევს) არავინ შეიტყოს კი...

ჩიტ. რავა შეიძლება ბატონო, ბალანე კარა ვარ. (ინახავს წერილს) მარა იღბლიანი კაცი კი ყოფილხართ ღმერთმანი! რა გოგო გივარდებათ ხელში, რა გოგო? ოხ, ოხ!

მიხ. ა, კარგია? ფულებმა ასე იცის ჩემო ჩიტირეკია! ფული თუ გაქ... (პაუზა) შენ ალბათ ის უბრალო ჩაცმულიც გეყოლება ნანახი, ხო კაია.

ჩიტ. მწ... ნუ მკითხავ თუ ღმერთი გწამს! რაა, რაა რო იცოდე!.. დილაზე რო შევალ მის ოთახში და იმას პირდაუბანელს და თმა აშლილს ვნახავ, ვცხონდები, ვცხონდები.. მეც ქე მყავს ერთი გვრიტი, მარა სად ის და სად ის?..

გამოსვლა IV

(მიხეილი მარტო)

მიხ. (დადის) არ ამიმღვრია სისხლი ამ ბიჭმა! ის მამაძაღლი რა ყოფაში ყოფილა! გადვირიე კაცი, შევიშალე... როდის იქნება რო ერთი ხელში ჩავიგდო და ჩემებურათ, ჩავბუჯგნო! (პაუზა) ვითომ ერთ ხანს ძალიან გაიდგა ფეხი, მარა ბოლოს აილო კალამი და შეუდგა წერილების წერას... ვერ გაუძლო ფულებს... რო ჩამოვედი გამოშთერინგული ყმაწვილი, ჩანავედებულ-ჩასილაღებული და გავაგონე ასიანების ტკაცი-ტკაცინი, ეებნა უბედურს თვალები! აპა რავა ეგონა გაქუცულ აზნაურს! მაგისთანა ბარიშნებიზა ამიბნევია გონება!.. (პაუზა) წერილებს ქე მწერს, მარა როცა შემხვდება მორცხვობს, თავს იკატუნებს არც კი იმჩნევს, ვითომ აქ არაფერიაო... მარა სანამდის, ერთ დღეს ავალებინებ ალსარებას... (წერილს იღებს და კითხულობს) მერმე სად ქონდა ამდენი სასიყვარულო სიტყვა, მიკვირს ღმერთმანი... (ღიმილით) ალბათ კლასში უსწავლია... ვაი მათი ბრალი, თუ ამის მეტს არას აკეთებენ? მოდი და ასწავლე ახლა შენ ქალს ქაღალდი... მწერს „დღეს ჭრელი ახალოხი და წითელი ჩოხა ჩაიცვი და ისე მოდიო," მეც ასე მოვიქეცი. წითელი ჩოხა არ მქონდა და ზაკაზათ შევაკერინე... ეს მესამე ჩოხა შემაკერინა იმ კუდიანმა ახლა... ისე ახალოხი... ორხელ ქუდი გამომაცვლევინა. ხან მომწერს მეამება როცა ასე ჩაცმულს გნახავო, ხან ისეო და მეც უჯერი, აპა რა ვუყო? (პაუზა) უხ, რა ყოფილა სიყვარული, შეშლის კაცს ჭკუიდან, რას არ აქნევინებს... ეხლა რო მნახავს ასე გამოწყობილს, ალბათ ძალიან ეამება, მოვე-

კითხოს. კაი შენ მე თუ ვუყიდე! მუქთა კუბოში ყველე კი ჩაწობა... სკოლიზა რო გადემეკიდეს კი დეე ამას წინეთ სოფლები. კლასს ეზო არა აქ და ერთი ქცევა მიწა გვაჩუქე ხალხო! მამაცხონებულები! მე ვინ რა მაჩუქა?.. მიხეილ ბელტაძე შეეწიე კლასს მიწა! მოგართმევთ! გეამებათ? მე თუ რამე მაქვს, ჩემთვის...

მასწ. (ბრაზით) საზიზღარი მყვლეფელი. (ხმა მაღლა) თავი კაცათ კი მოგაქვთ თავი და...

ბაგლ. აა, თუ ღმერთი გწამთ აქ არ შეიძლება... ეს... მამა ნუ წამიწყდება...

მახ. (მიიწევს მასწავლებლისკენ) დიახაც თავი კაცი ვარ.. მარა ჩემთვის და არა სხვისთვის! ლაწირაკების მე ბრაფერი მეცოდინება! ვისაც უნდა ბიბლიოთეკა და კლასი მან გაიკეთოს თავისთვის, როცა მე დამჭირდება, მე გავიკეთებ, არავის არ მოვთხოვ დახმარებას!.. რავა რო შვილი მეყოლოს იმ წინწკლიან ბაღნებში გაურევ თუ?.. შენს კლასში შემოვიყვან?

მასწ. (თავისთვის) აკი თვითონაც ერთ დროს ისეთივე წინკლიანი იყო! (ხმა მაღლა) უკაცრავათ, შეგაწუხეთ... ეს მე წინდაწინვე უნდა მცოდნოდა!.. მივდივარ!.. (მიდის)

მახ. ია და ვარდი თქვენს გზასა და სავალს...

(დასასრული იქნება)

ვ. მალაქიაშვილი.

შ ა რ ა დ ა.

გთხოვთ ამა მცირე შარადას
მოეპყრათ ერთობ ფრთხილათო:
ვინაცა ვერ ახსნას, შემირცხვეს
იგი მამულიშვილათო.
ორი სიტყვისგან შესდგება
არ თუ რამეა ძნელია,
მცირეოდენი დაფიქრდით
შუბლზე მიიდგით ხელია.
პირველსა ნაწილს შეადგენს
სიტყვა უცხოთა ენისა,
არჩევნების დროს საკენჭო
უფლების გამომჩენისა.
თუ ის არა გაქვს, ვინ მოგცეს
თამაში კენჭობანისა,
ულირსთა გასახუხავი
მით გულის მოსაფხანისა.
ზოგჯერ დიდია ოხერი
უფლების შემაზღუდნია
და სარგებლობენ „ძლიერნი"
ჭირისა გასაგუდნია.
ზოგან ის მცირობს, ზოგანა
სულ არ არსებობს მგონია,
მაგრამ არ არის იქ, სადაც
ხალხს შესწევს ძალა-ღონია.
მეორე სიტყვა ქართული
არს რიცხვის მაჩვენებია
არც სამი არის, არც ერთი,
არც მეტი არც ნაკლებია.
ორივე ერთათ შეკრული
ვის არ აქვს განაგონია
წითელი მელნით მწერლობას
რო გააცალა ქონია..
გაზეთებს სისხლი გაუშრო
ასხიპა, გააწყალაო,
არც ჟურნალს თვიურს, კვირეულს
არ გააყოლა ძალაო
„კრამოლნიკური" აზრები
ველარსა დაეშალაო,
და პრესსა ისე გახადა,
როგორც სიმინდის ჩალაო.
ბევრი ჯარიმა გასჭედა,
ბევრს სტამბა დაუცალაო
და რედაქტორიც მრავალი
ციხეში გადამალაო.

კოლო.

ო რ ი მ ხ ა ̓ რ ე.

—

იმ... დარბაზში მიწვევს გული
ფიქრთა დენით ავსებული,
მინდა ვნახო ორი მხარე,
და მათ იტევს მისი არე!
მათში ერთი მედიდურათ
იყურება რაღაც მგლურათ,
მეორეს კი სევდა ჰბურავს
ღრუბლის ჩადრი დაუხურავს!
ვხედავ პირველს—გველის დარად
მეჩვენება შესაზარად,
მეორეს კი ეტრფის სული
ჩავაკონო მინდა გული!
ცრემლმა დასდვა სახე ბლოვის

წონები! გამოვიდეს ბარემ ის ოჯახქორი, მოვკვეტი ლოდინით... უსათუოდ მოვეხვევი და ჩავკოცნი... არც მოვერიდები და არც არაფერი. მარა ვაი თუ შეგვეფეთა ვინმე და ხელი შეგვიშალეს! (ბაუზა) ჩუ, მგონი მოდის კიდეც... ღმერთო შენს მადლს... რო გორ ვცახცახებ... ვერ გავჩერდი ერთ ადგილს.. უფ .. მოდის. . (იდიმება)

(გამოსვლა V

(მიხეიდი, ბავდე და მასწავლებელი)

მიხ. (უკმაყოფილოთ ჩუმათ) თფუ! ქეარ ჩამივა რდა კობზი ნაკარში.. დასწყევლოს ღმერთმა ამათი თავი, რავა შემომყარეს გულზე!..

ბავდ. უკაცრავათ, ჩემო მიხეილ, მოგაწყინე. (მასწავლებელს) მობრძანდით უჩიტელო, მოდით! მარა გუშინდელივით კი არ იჩხუბოთ თქვენ და მიხეილმა!.. ხა.., ხა... ხა!..

მასწ. არა შე კაცო! რათ შეგშინებია! (ესაღმება მიხეიდს)

ბავდ. მე რო მკითხოს კაცმა, ორივე მართალი ხართ ძმაო. მამა ნუ წამიწყდება... კაცი ხან ისე უნდა იქცეოდეს და ხან ასე. რავაც შენს სარგებლობას შეატყობ; აბა რას იზამ კაცი, ხომ დეინახეთ, რომ ქვეყანა ერთმა და ორმა ვერ გადაიბრუნა...

მიხ. თუ კაცი ხარ ბავლე, მაგრე ნუ იტყვით, თორემ კიდევ განახლდება მაგ ლაპარაკი, ვერ დაგვაწყნარებს კაცი და ავირევით... სჯობია სხვა რამეზე ვიბაასოთ.

ბავდ. კარგი ბატონებო, ძალიან კარგი... მე არაფერსაც არ ვიტყვი, ოღონდ თქვენც ნუ დაწყებთ. (იცინის)

მასწ. ვეცდ ბით, ვეცდებით.. (ბაუზა)

ბავდ. სხვა მიხეილ თქვენი გამოწერილი მაშინების საქმე რავაა? ხო მუშაობს კარგათ?

მიხ. მშვენივრათ. დღეში ერთი კაცი ოთხ ქცევას და მეტსაც თესავს, ფარცხავს და ყველაფერი... აწი ერთ კვალ მიწასაც არ გავცემ: სულ მე დავამუშავებ ბიჭებით, რაკი ასე ადვილი შეიქნა სულ 10-15 ბიჭი რო ვიყოლიო ზაფხულობით სასამუშაოთ, მეტი არ მინდა, ზამთარში ოთხი-ხუთიც მეყოფა.

ბავდ. სიმინდის საფშვნელი, ჩალის საჭმელი, პურის სალეწიკ ყველაფერი იყვნეთ არა?

მიხ. რასაკვირველია. ეხლა გავიგე უკეთესი მაშინები არისო, ცოტახანში იმასაც შევიძენ...

ბავდ. სასიამოვნოა სასიამოვნო... მამა ნუ წამიწყდება... ჭკვიანი კაცი ხარ ჩემო მიხეილ და კიდეც კარგად მიგიდის საქმე... ისე რომ ჩემი აზრით რაც შენს მამულებში სიმინდი მოვა, ნახევარ ჩვენს სოფელს ეყოფა სარჩოთ.

მიხ. იმე! მაგას ხო ზრასტი არ უნდა! ჯერ შარშან გავყიდე ასი თუმნის მარტო სიმინდი, თვარა წელს ხომ ორი ამდენს ავიღებ... აკი ოთ ქმის იმდენი მიწა კიდევ ვიყიდე...

ბავდ. ღვინოც ბლომათ მოკივა...

მიხ. უეჭველია. (საერთო ბაუზა).

მასწ. (მიხეიდს) ჩვენს სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება გადავწყვიტეთ და იმედია შემოგვეწევით რასმე?

მიხ. ბიბლიოთეკა სამკითხველო რას ქვია?! (ამაყათ).

მასწ. გამოვიწერთ გაზეთებს, წიგნებს, ჟურნალებს, დაქირავებული გვექნება ოთახი და ვისაც მოესურვება, მივა და წაიკითხავს წიგნი იქნება თუ გაზეთი. განვითარდება ჭკუით, გაიგებს ქვეყნის ამბებს...

მიხ. (ირონიით) ა? განვითარდება? რათ უნდა მერმე ეს განვითარება? რას შეძენს, რას შემატებს?

ბავდ. (ირონიით) არ ვიცი მამა ნუ წამიწყდება...

მასწ. როგორ თუ რას შეძენს? განა სწავლა სასარგებლო არაა?

მიხ. (ამაყათ) სწავლა სწავლა და გაზეთების კითხვა გაზეთების კითხვაა! ვიცით! გაზეთიდან კი რას დეისწავლის კაცი, ნახევარ ტყვილს ბეკდავენ შით... (იცინის) მერე კიდევ თუ სოფელში გაზეთების კითხვა დეიწყეს, რა უჭირთ! მოხედავთ ღმერთი! ჩემმა სახლის კაცმა იკანიკამ თუ გაზეთი წეიკითხა, მეტი არაფერი უნდა... ხა... ხა... ხა... გაზეთი კი არა მისი საქმე თოხია, სამ ოყიანი თოხი!..

მასწ. იმ ივანიკას შვილი ყავს. ის ისწავლის რამეს...

მიხ. კაი თუ კაცი ხარ! ნუ დამიწყებ ჭკუის სტავლებას გუშინდელივით!.. ვიცით, გვინახავს, გაგვიგონია! . დედა ნახე მამა ნახე, შვილი ისე გამოინახოო... რავალიც ივანიკაა, ისეთი იქნება მისი შვილიც...

ბავდ. მამა ნუ წამიწყდება! რავაც ივანიკ ჩულნის მიწას, ისე უნდა ქნას მისმა შვილმაც... რა ეგაზეთება!..

მასწ. (ადელვებული) მაგ თქვენს აზრებს რაც პასუხი ეკადრება მე ვიცი, მარა...

მიხ. ჩვენც პასუხს მოგცემთ... მე კაპიკის მომკლემი არა ვარ... მაგისთანებში თუ ფულები ვაპნიე, მომხედავს ღმერთი... ასე კიდო ამას წინე ქუთაისში გადემეკიდენ რაღაც თრიატისო, თუ რაღაც განათლების საზოგადოებისათვის ფულები მოგვეცო... იცოცხლეთ იგენს მე ბრანწები ვუჩვენე! ზიგუ თამ ნესვეთი უნდა თვითონ იყიდოს და წაი-

ამ მოწამეს სისხლის წოვის,
რვეულია ტანჯვის იგი
და საკითხათ მიწვევს რიგი!
ბევრსა ვხედავ სისხლის წვეთებს
მის ფურცლებზე დანაწვეთებს,
და ვკითხულობ: „იმ დღის არი“
რომ მოგიკლეს მეგობარი!
რას არ ვპოებ? გზაა გრძელი
ეს შეკრულის სამყოფელი,
მედროშეთა ძვლების ხიდი
არა ერთგან მოსჩანს დიდი!
და ანდერძათ სიკვდილის დროს
რაც დასტოვეს მათ საწუთროს,
ისიც იქვე აღბეჭდილა
კამკამ ცის ქვეშ ვითა ფილა!
ამბორსა მთხოვს მისას ნება
მაგრამ მბორკავს მსაჯულთ მცნება,
შორიდან კი მაინც მიყვარს
გრძნობით შევცქერ ვით საფიცარს!
და ვით ეხლა აწიც მარად
მეყვარება შეუდარად,
და ნუ გიკვირს თუ დღეს მწარე
ტკბილის გვერდით შევიყვარე!

რ. ლეჩხუმელი.



ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ.

(საამდღეო მუსაიფი)

ნანგრევებზე; მოძრაობა, არა აგრარული, არამედ—აღაპური; ბლიკვაძე, არა მესტვირე. არამედ—მეყანწე, „ერთ კაცის ნდობა ძნელია, გინდა გადიქცეს გონებათ“; სტრაჟნიკული ეთიკა; ხუცური ტაქტიკა; სოფელი და ძაღლები; საზოგადოება და მღილები.—

საკმაოა გურიის დღევანდელ ცხოვრებას ერთი თვალი გადაავლოთ, რომ თქვენს წინაშე ბაბილონის გოდოლის ცოცხალი სურათი გადაიშალოს. უზარმაზარი შენობა, რომელიც ერთ დროს, მგონი, დასავლეთ ევროპის მსჯელობის საგნათაც კი იყო გადაქცეული, დღეს თითქმის საფუძვლამდის მინგრეულ-მონგრეულია. ამ ნანგრევის ქვა, სილა, კირი, ტალახი, ნახშირი, ნაცარი, ფერფლი თუ ხვა რამ „ხრენგი“ ერთი-მეორეში არეულ-დარეულია, დადუღებულ-დამიწებულია და ზედ სოკოები წამოქინდრულან, ხავსსა და ხლართას ძირი გაუდგამს ფესვები გაუშვია. აქა-იქ დაყუდებულან, სამარცხვინო ბოძებივით, რაღაც შავი, გატუტულ-გალულული ბარჯგები, რომელთაგან ყვავები და ჭილყვავები გულის წამგლეჯ გლოვის ზარს გადმოსწვიან. ამ სურათს ეფექტისთვის, გინდ აფექტისთვის, როგორც გენებოთ, დაუმატეთ ხანგრძლივი გოლვისაგამო აუტანელი სიცხე-პაპანება, მტვერის ბუღისაგან დახშულ-დახუთული ჰაერი, ამღრალ-ჩაყვითლებული და ზოგან სრულიად ამხმარი ნათესი, გლეხის დაღვრემილი პირისახე, იმისი ფლეგმატიური მოძრაობა... მე მოგახსენებთ ჩვეულებრივ მოძრაობაზე და არა ისეთზე, როგორსაც ამ ოთხი წლის წინად ჩვენში ადგილი ჰქონდა. არა, ისეთი მოძრაობა აწ აღარ არსებობს. „ზაკონის კანონის“ ძალით იყო, თუ „დრაკონის კანონისა“—ეს მოძრაობა მოისპო, ანუ უკეთ, არ მომსპარა; ამბობენ: მოძრაობა არ ისპობა, არამედ ერთის სახისა და სახელის ნაცვლად ის ღებულობს მეორე სახესა და სახელსო და ასე... დაუსრულებლივ. ჩვენშიც სწორედ ასე მოხდა: რამდენათ მახსოვს, მოძრაობას ჩვენში მოიხსენიებდენ „აგრარულ მოძრაობათ“ დღეს კი იგი შეცვლილია „აღაპურ მოძრაობათ“, ე. ი., ლტოლვილება ანუ მიდრეკილება ხალხისა ყოველგვარ აღაპ-ქელეხისაკენ ერთობ დიდია. ტირილ-აღაპი თითქმის აღდგენილია. რავა? პოლიციამ თუ კი აღადგინა თავისი, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრებოდა? ცოტა, ისე... გულში ღერღა კია „წასაბურავის“ შესახებ, თორემ... ქორწილი აბა ხომ... იყო, არის და იქნება!.. „სმა-ჭამა დიდათ შესარგი“... მოსაწონია, თქვენმა მზემ! მხოლოთ ჭამა-დალევის შემდეგ, ე. ი., საქმე რომ დაილეოდა, ძველად ხანჯლების ატრიალება იცოდენ, მაგრამ დღეს ეგ „ხმალ-ხანჯლისტობა“ მოსპობილია იმავე „დრაკონის კანონის“ ძალით, ხოლო „ხმალ-ხანჯლისტების“ ადგილი „ბლიკვაძეებმა“ დაიჭირეს (ბლიკვი, გურული გამოთქმით, მუშტს ქვია). მე მოგახსენებთ არა მესტვირე ბლიკვაძეზე, არამედ—მეყანწეზე. ყანწი—ეს შეტრიალებული სტვირი გახლავთ და ის, რაც ამ შეტრიალებული ანუ შებრუნებული სტვირიდან გადმოდის და ადამიანის სტომაქში ჩადის, კაცს კი არ ატკბობს, არამედ—ათრობს. ღმერთმა გაშოროსთ მთვრალი ბლიკვაძე! იგი კი არ ღიღინებს, არამედ—ბლიყინებს. და, რომ ბლიყინებს, ოჯახს გიგინებს, ბლიკვსაც გიღირებს. ამას, ჩემო ძმაო, ჩვენებური ჩაფარ-დარაჯებიც არ იკადრებენ. დედას ისინი ნაკლებათ ეხებიან. ცოლი, და ან სხვა რამ ასეთი თუ გყავს‘

ცოტა ქე მოარიდე, ე. ი., მათგან დამალულ-დაფარულად იყოლიე... და თუმაინცა და მაინც ხან ხან პატივცემულ ზურგს ეხებიან, ეგ რა ვუყოთ: ზურგს, მეტადრე გლეხის ზურგს, დღეს ვინ არ ეხება;! ეხებიან მათრახით, არა მარტო სიტყვით.

სიტყვით ხუცებმა ანუ მღვდლებმა იციან. მაგალითად, დრამას შესახებ სიტყვით მრევლს ეუბნებიან, ე. ი. მიწერ მოწერით-ცეცხლის საიდუმლოთ „უჩხიკინებენ“, თუმცა,, ჩხიკინმა რომ „ნაჩინჩხლები“ ანუ ნაპერწკლები იცის, ამაზე აღარ ფიქრობენ. და არ ფიქრობენ, რადგან არ ეშინიათ. უწინ თუ ეშინოდათ, დრამასაც არ მოითხოვდენ. ის კი არა, „კრუჟკის“ ფულსაც ხალხს უთმობდენ. დღეს კი... „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“, რომ ამბობს ანდაზა, მართალია!

თუმცა ძაღლები სოფელში ბლომათ არიან, მაგრამ ეგ სულ სხვა ჯურის ძაღლები გახლავთ: უკბილო, ულრძილო, წუწკი და შემპარავი. ცოფი არე სჭირთ, მაგრამ გესლი კი დიდი აქვთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ცხრამთას იქითაც შეუძლიათ ადამიანის დაგესლვა, ასე რომ აზრათაც კი არ მოგივათ, ექიმს დროზე მიმართოთ და განსაცდელი თავიდგან აიშოროთ! ასეთ პირობებში რა გინდათ, რომ ქნათ!!. და სოფელიც სწორედ ამ „უქნარობისა“ და უმოქმედობის ბადეშია გახვეული; ისიც ისევე დაღვრემილი და მოდუნებულია, როგორც გლეხის პირისახე. არიან ოპტიმისტებიც! მეც არავარ სრულიად სასოწარკვეთილი, მაგრამ ეს კია, რომ „პეტრეს მოსვლამდი, პავლეს ტყავი გასძვრება“... და გასძვრება-თავიდგან-კუდამდი; უტყავო კაცი კი, რაგინდ უკბილოც იყვენ ძაღლები, ამ უკანასკნელთ მაინც უნდა გაურბოდეს ისე, როგორც გლეხი გაურბის ყოველგვარ გადასახადს, თუ მას, რა თქმა უნდა, „დრაკონის“ ანუ კავკავის მათრახის ძალით არ კრებენ. მაგალითად, როგორც ყველას მოგეხსენებათ, გურის საზოგადოებებმა დაადგინეს ოზურგეთის რეალური სასწავლებლის სასარგებლოთ ნებაყოფლობით ფულის გადახდა. აქაც „დრაკონის კანონის“ ძალა რომ ეცადენ, პრიგოვორები შეადგენინეს ხალხს, რომ შემდეგ გადასახადზე,... ნიკაკიხ!.. ვაშა, მათ წინდახედულებას! თურმე, როცა გადახდის დრო მოვიდა, აკი მართლაც წამოდგენ საზოგადოების მლილები, აღაღეს პირნი... და ერთმა: „მე პრიგოვორზე ხელი არ მიწერიაო“, მეორემ-„მე მდიდრებისთვის კლასის გახსნა ჩემის ხარჯით არ შემიძლიავო„, თითქოს თავისი ხუთი მანეთით ის ქვეყანას აშენებდეს! მესამემ-„მოგვატყუესო“ და სხვა ამისთანა მარგალიტები წამო. . მაგრამ, მოგეცათ ლხენა, უსტვინე!

ასე, რომ პირი დაღებული შერჩათ. საზოგადოების უფრო შეგნებულმა და პატიოსანმა ნაწილმა, რომელიც ჯერ ღვთით კიდევ თითქმის უმრავლესობას შეადგენს, დაუმტკიცეს მათ მათი სრულიად მლილური არარაობა და თანაც დაემუქრენ, რომ უკეთუ თავის ნებით, აუხმაურებლათ ფულის არ წარმოადგენენ ვადაზე, ნაცადი საშვალებით, ე. ი. კავკავის მათრახის ძალით აიღებენ და თუ საჭირო დარჩა, ეშმაკსაც მიმართავენ, რათა მანაც აამოძრაოს „მათრახი“ და თავის მომავალ „ქვეშევრდომებს“ ცოტა „ჭკუა წააიმასქნას“.... **ონისიმე.**

მათრახის ფოსტა.

ს. ნიგოითი. ორ მგზავრს. ვსწუხვართ, რომ ეოასტო სიხარულიძეს შეუწუხებიხართ და იმ დროს მოუთხოვია ქირა, როცა თქვენ და თქვენი თანამგზავრი მის ცხენებზე შემსხდარხართ. „ვურჩევ ერასტოს ჩარჩობას თავი დაანებოს“ო. თუ თქვენ რჩევას მართლა ასეთი სასწაულებრივი ძალა აქვს, გთხოვთ თფილისში ჩამოხვიდეთ და აქაურ ვაჭრებსაც ურჩიოთ ნუ ჩარჩობენ, თორემ ლამის არის ტყავი გაგვაძრონ, ახობაძის სპერმალინმა და „კლოპოვნიკმაც“ კი ვერავითარი გავლენა იქონია მათზე.

ქუთაისი—ვ. იკოთელს. იქნება თქვენა გგონიათ, რომ მარტო ქუთაისის მუშები თამაშობენ კარტს და ლოთობენ. ასეა დღეს საზოგადოთ ამიტომ ვერც თქვენ წერილს დავბეჭდავთ და ვერც თქვენ მუშებს შევაწუხებთ ჩვენი მათრახით, დეე იქეიფონ არც თქვენი ლექსი დაიბეჭდება, რადგან ძალიან პოეტურათ არის დაწერილი და მკითხველს ნერვები აეფუშება.

ფოთი—ჩენჩილაძეს. იწერებით ერთ ქალბატონთან სტუმრათ ვიყავი და ბაღლინჯოებმა კინაღამ შემჭამესო. მადლობა ღმერთს რომ არ შეგჭამეს, თორემ ხომ დაგვეკარგებოდა ასეთი პოეტური ნაწარმოები:

სტუმრათ ვეახელ ერთ ქალბატონსა
სახელს ვერ გეტყვით რაც უნდა გახდეს,
რომ დამესიენ ბაღლინჯოები
ისე დამკბინეს, კინაღამ გამხრეს. და სხვა.

სამტრედია სალამს. “აქაური მიკიტნები ბევრ პილპილს უშვრებიან ხარჩოსო“ იწერებით. თუ პირი დაგწვათ წყალი დალიეთ და ჩვენ კი მოგვასვენეთ ასეთ წერილებისგან.

ბახმარო—ახალგაზდა პოეტს. მართლაც, რომ ახალგაზდა პოეტისთვის მეტათ მარგებელია ბახმარო. ლაღი მშვენიერი ბუნება საოცნებოთ აღიზიანებს, ჯერ გაუფურჩქნელ, პოეტურ ნიჭს. სწორეთ ამას მიეწერება, რომ ასეთი საარაკო ლექსი შეგითხზვიათ:

მზე ამოდის ისევ ჩადის
ბახმაროზე ძლიერ გრილა,
ადრე ვდგები დილითა
ველარ ვძლები ძილითა.

რასაკვირველია დილით ადრე ადგომა ბახმაროზე, მავნებელია, მით უმეტეს პოეტისთვის. როგორც გეტყობათ დილით ადრე ადგომას და უძილობას უკვე მოუხდენია გავლენა თქვენზე. თქვენ თავის ქალაში უკვე დაწყებულა ის პროცესი რომელსაც „ტვინის დიტინს“ ეძახიან, რის შედეგიც თქვენი ასეთი პოეტური აღმაფრენაა.

სულა გლეხ ივანე შანიძის 11-12 წლის ქალი სალამო ხანს დანარჩენი ბავშვები დაბრუნებულან, ხოლო შანიძის ქალი სადღაც დაკარგულა. თავზარ დაცემულ დედ-მამას ბევრი უძებნია, მაგრამ ვერაფერი გაუგია მისი. ოთხი დღის შემდეგ რამდენიმე კაცი წასულა ტყეში საძებნელათ, თან ძაღლი ხლებიათ. ძაღლი ერთ დიდ მუხის კუნძთან გაჩერებულა და დაუწყია ყეფა. მისულან, გადაუბრუნებიათ კუნძი და ქვეშ უნახავთ დამხვრჩვალი ბავშვის გვამი. როგორც ირკვევა, საბრალო გოგოს გაუპატურება მოუნდომებია ვიღაც მაეცს და ბოლოს მოუკლავს და კუნძ ქვეშ დაუმალავს. ამ საქმის თაობაზე ადგილობრივმა ბოქაულმა დააპატიმრა აქაური მცხოვრები აბესალო ლორია. ეჭვი არა აქვთ ლორიამ ჩაიდინა ასეთი საზიზღარი სიმხეცე, ის ბავშვებს უნახავს იმ დროს ტყეში, სალამომდე იქ ყოფილა და მეორე დღეს დაბრუნებულა. ბოქაული დარწმუნებულია ლორია დამნაშავეა, მაგრამ ადგილობრივი გამომძიებელი თავს არ იცხელებს და ამბობს: საკმაო საბუთები ხელთ არა მაქვს მის გასამტყუნებლათო. განა ამაზე მეტი საბუთი უნდა? ბოქაული ბევრს ეცადა გამოეტეხა ლორია, მარა ის სულელის როლს თამაშობს და არც ერთ კითხვაზე ხმას არ იღებს. 27 ივლისს ის ოზურგეთში გაგზავნეს.

ნოდელი.

—

დ. სამტრედია. გ. ხუნდაძეს აქ ორი საპარიკმახერო აქვს, ერთი ბაზარში და მეორეც სადგურზე. სიცხეების, თუ სხვა მიზეზების გამო ამ ბოლო დროს მუშტართა რიცხვი შემცირდა. რომ „სკუკას“ არ შეეპყრო, ხუნდაძემ მშვენიერი გასართობი საქმე მოიგონა. მიყო ხელი შეგირდებთან ჭიდაობას. (როგორც ამბობენ თურმე თავის ძალ-ღონის გამოცდა უნდა, რომ შემდეგში გამოჩენილ ფალავანებთან გაიჯიდეს საჭიდაოთ). სამწუხაროთ, ერთ მშვენიერ დღეს ისე გაუტაცნია ამ გასართობს, რომ ჭიდაობის დროს ერთი შეგირდთაგანი ღონივრათ მოუქნევია და ფანჯარაში კი გაუძვრენია. რაღაც მანქანებით წაქცეულა შეგირდი სიკვდილს გადარჩა. ჯერ ჯერობით ხუნდაძემ ამით დაათავა თავისი პრაქტიკული მუშაობა და ეხლა პირველ დებიუტს ‘ფალავან ესებუასთან მართავს. ვნახოთ როგორ გაწვრთნილა ჩვენი პარიკმახერი. ჭიდაობის დაწყებამდე მათრახით შეხურებას თხოულობს.

პატარა ბზიკი

—

იქიდანვე. როგორც გადმოგვცეს ბ. კიკაჩეიშვილს თქვენ სამტრედიელ კორესპონდენტ „პატარა ბზიკისთვის“ სასამართლოში უჩივლია. მიზეზი „მათრახ-სალამური“-ს № 5-ში მის შესახებ მოთავსებული წერილია*)

—

სად. ულუხანლუ. აქაურმა დეპოს მუშებმა ტერ გრიქუროვის ბინაზე დააარსეს „მუშათა საყვლეფი კლუბი.“ კლუბის დაარსების ინიციატორობა ეკუთვნის თვით ტერ-გრიქუროვს და მის მარჯვენა ხელს ნ. ჩ—ძეს. კლუბის დაარსების მიზანი „კარტ-ლოტოს“ საშუალებით ექსპლოატაციაა. მიზანს სავსებით ახორციელებენ ტერ-გრიქორიევი და ჩ—ძე. თუ რომელიმე მუშამ იქ შედგა ფეხი, უთუოთ ჯიბე გადმობრუნებული ბრუნდება, ხოლო ტერ-გრიქუროვის და ჩ—ძის ჯიბე კი მძიმდება. ასევე აღნიშნული კლუბის პროგრამის პირველ მუხლში და დამაარსებელნიც პირნათლათ ასრულებენ. მართალია ხშირათ ჩხუბი და აყალ-მაყალი იმართება და ახლო-მახლო მცხოვრებთ მოსვენება არა აქვთ, მაგრამ ეგ აბა რა სათქმელია, როცა მუშათა ზრდა-განვითარება ამით ძლიერ წინ წავა ჩვენ კურთხეულ სადგურზე.

აქაური.

—

ს. ხიდისთავი (გურია) აქ შესდგა „მასონთა საზოგადოება, „და-ძმობა.“ წევრთა რიცხვი თუმცა ჯერ მცირეა, მაგრამ, ვინც არის რჩეული „დელიყანდები“ არიან. ამის მიზეზი ის არის, რომ წევრებს, ისე ზეპირად არ ღებულობენ. ღებულობენ მხოლოდ დიდი გამოცთის შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ წევრს შეუძლია სავსებით შეასრულოს საზოგადოების პროგრამა. საზოგადოების პროგრამა სრულიად მარტივია, მხოლოდ სამი მუხლია საგან შესდგება: 1) სერბინეს ბაღში ყოველ დღე სიარული და ლუდის ყლაპვა, 2) კვრაში მდელი საზოგადოებისთვის სადილის გამართვა და 3) ორ დღეში ერთხელ დათრობა. უკანასკნელ მუხლში პირველობა ჯერ-ჯერობით „ბღინკ“-ს ეკუთვნის.

საზოგადოების ახალი წევრი.

—

ოზურგეთი ქალაქის გამგეობაში სულ ბდღვირს ადენენ ჩვენი მამები, მარა ისეთი ბდღვირი მაინც ვერ დააყენეს, როგორც ბაზარში სდგას. საკმარისია ერთმა ეტლმა გაიაროს, რომ მთელი ბაზარი ნტვრის მანტიაში ეხვევა. სხვა სიბინძურეს ნულარ იკითხავთ. თუმცა სანიტარული კომისია გვყავს, მარა „უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწიაო“ ისე დაგვემართა, მაწანწალა ძაღლებს გადაურჩენ და გუშინ წინ მთელი კომისია ღორებს შეუჭამია, პოლიციას ჯერ არავითარი ზომები არ მიუღია ბოროტგამზრახველების წინააღმდეგ. ღორები თავისუფლათ დასეირნობენ ბაზარში.

კურტანიძე.

---

*) თუ ეს ხმები სიმართლეა, სამწუხაროა. გვიკვირს რატომ სხვა გზით არ ისურვა ბ. კიკაჩეიშვილმა თავის გამართლება. მას შეეძლო სამედიატორო სამართალში გამოეწვია კორესპონდენტი და პრესის საშუალებით გაემართლებია თავი.

რედაქცია.

წერილები ეშმაკისადმი

ბაკურიანი. ეშმაკო, შენი ჭირიმე,
მიკვირს ეს როგორ დაგრჩაო,
არ გამოსჭიმე გაზეთში
ბაკურიანის დაჩაო.
ნუ თუ იფიქრე არ არის
ის ყურადღების ღირსიო?
არა ძმავ, ზრახვა ამგვარი
არ არის საკადრისიო.
ამოდი ერთი, ამოდი
რას იხარშები ბარადო,
შენაც მოილხენ ნაძვებში
ჩვენც გვეყოლები ფარადო.
აგიყვან დაუყონებლივ
თავმწვანე „კოხტა გორასო“,
გადმოგახედებ, გიჩვენებ
სამთრახეთა ხორასო.
გაგიკვირდება, შენმა მზემ
აქაურ საქმის მხილველსო,
რომ ყვავის გარდა ვერნახავ
ვერაფერ მინდვრის ფრინველსო.
ესენი, მედიდურათა
დანავარდობენ უხვათო
(ამბობენ: მისთვის გამრავლდენ
რომ სიბინძურე უყვართო.)
თუ მართალია ეს აზრი,
მაშ ყვავებს ბარაქალაო
ეს აგარაკი, ძიაxან,
გახლავს ნამდვილი თავლაო.
ბაყაყი ისე გვიგალობს,
როგორც გინახავს ბარშიო
და თუ გაწვიმდა, მშვიდობით,
ცხვირს ვერ გამოყობ კარშიო.
ავდარში წყალსა სასმელსა
ვინ პოებს ამა მხარესო,
მუდამ შიგ აბანაკებენ
კამეჩებს, ღორებს, ხარებსო.
ემაღ აზბში აივლი,
გინდა იყიდო რამეო
გეტყვის: აბაზი მე მილირს
ოთხი აბაზი მამეო.
არ მისცემ, საით მიდიხარ,
ვინ არის გამკითხველიო,
(აქ არის მეტათ საჭირო
შენი ნაკურთხი ხელიო.)
მარტო გაზეთში ჩაგდება
ამათ ვერ მისცემს ვნებასო
რადგან არა ყავს აქმომსწრე
გაზეთის მოვლინებასო.
ჩვენ ვერ გავიგეთ მიზეზი
რაუ გვიკრძალავენ კითხვასო
თუ შენც არ იცი, ეშმაკო,
ამცნე სალომე მკითხავსო.
მაშ ასე, შენი ჭირიმე,
არ გამაწბილო არაო,
რაც რო ვითმინეთ საწყლებმა
ამდენი თმენაც კმარაო.
თითონ ჩამოდი, წერილი
არ გამოგზავნო ბიძიო,
თორემ გამყვლეფენ სადგურზე,
ალბათ შენ ეგ არ იციო.
აქ თითო მარკით წერილზე
სამ კაპიკს აქუცავენო,
მისთვის რომ ვაგონებიდან
ვაგზალს თავს უტკუცავენო.
არ მისცემ ,გული არ შობა,
მისცემ და გაძვალტყავდიო,
ბევრი ვიდარდეთ, ძმობილო,
შენ რომ აქ არ გვყავდიო.
ამოდი ერთი ამოდი
ნუ იხარშები ბარადო
ამოდი სამთრახოთა
სიცოცხლის გასამწარადო.

მაწონი.

ს. ნოლა. ამ დღეებში აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: 19 ივლისს სხვა ბავშვებთან ერთათ, მახლობელ ტყისაკენ ძროხის საძებრათ წა-

ა რ შ ი ყ ო ბ ა.

შენი ჭირიმე „დუბინავ“
შენ გენაცვალოს ყველაი,
შენის წყალობით ვისწავლე
მასაჟი, ზურგის ზელაი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემ მცირე წერილს თქვენს პატივცემულ ჟურნალ „მათრახ-სალამურ„-ში. „მათრახ-სალამური“-ს მეხუთე ნომერში ბ. კასიომ წერილი მოათავსა, სადაც ის მე მეხება და მლანძღავს. სიმართლის აღსადგენათ გიწვევ მას სამედიატორო სამართალში. დეე, პირუთვნელმა სასამართლომ დასმტკიცოს ჩემი ცუდი კაცობა და ბ. კასიოს სამართლე. ვადას ვაძლევ 15 დღეს, დღიდან გამოცხადებისა.

ამბაკო მაღულარია.

შეცდომის გასწორება.

ჟურნალ „მათრახ სალამური“-ს მეშვიდე ნომერში ხონის სამკითხველოს ზედამხედველ მებუკეს წერილს შეცთომით აწერია „გამგე მებუკე“ უნდა იყოს სამკითხველოს ზედამხედველი მებუკე.

რედაქცია.

იუმორისტულ ჰოპულიარული, ილუსტრირებული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით — 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე — 10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

ელექტროშუქდასმ. „შრომა“ ოფს. ქ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი ი. ტუბანელიძე